



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამების კლასტერის შესახებ

სასტუმროს მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა
სასტუმროს მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
18-19.05.2023

თბილისი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა ERROR! BOOKMARK NOT DEFINED.

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან..... 9

9Error! Bookmark not defined.

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
9Error! Bookmark not defined.

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
Error! Bookmark not defined.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....*Error! Bookmark not defined.*

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა*Error! Bookmark not defined.*

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....37

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|--|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით | გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე | 218076542 |

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|--|--|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | რემიგიუს კინდერისი, კლაიპედას სახელმწიფო კოლეჯი/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ლიეტუვა |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | პაატა ჩაგანავა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ნინო ჯოჯუა, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | გიორგი არქანია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 |
|--|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | სასტუმროს მენეჯმენტი | სასტუმროს მენეჯმენტი |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში | ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება -1015 | 1019 პერსონალური მომსახურებები – არაკლასიფიცირებული |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹ | | |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | 26/06/2016, N69 | 26/06/2016, N70 |

¹მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამები ტემპუსის პროექტის ფარგლებში 2016 წელს შემუშავდა (CHRONOGRAMME PROJET TEMPUS LMPH # 544191 TEMPUS 1-2013-1-PT JPCR „LI CENCE ET MASTERS PROFESSIONNELS EN MANAGEMENT DES ACTIVITES HOTELIERES“). პროექტზე მუშაობა 2013-2016 წლებში მიმდინარეობდა. უცხოელი ექსპერტების თქმით, პროექტის საწყისი ეტაპი სასტუმრო ინდუსტრიის შრომის ბაზრის შესწავლა იყო. კვლევა განხორციელდა თბილისის, შიდა ქართლისა და აჭარის სასტუმროების ბაზაზე. პროექტის მენეჯმენტისა და სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპროექტო ჯგუფის გადაწყვეტილებით, შემუშავდა სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები.

საკანონმდებლო ცვლილებების (2016 და 2022) გათვალისწინების მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამებსა და მათ შემადგენელ სილაბუსებში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 სექტემბრის N 0001005424 ბრძანების შესაბამისად, რამდენადაც სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა ტურიზმის დეტალური სფეროს მიხედვით, იგი შესაბამისობაში მოვიდა 2022 წლის ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელთან. ამასთან, პერიოდულად იხვეწებოდა და ახლდებოდა აკადემიური კურსების შინაარსი და სასწავლო რესურსები.

კლასტერში დაჯგუფებული სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო (ECTS კრედიტების რაოდენობა – 240) და სამაგისტრო (ECTS კრედიტების რაოდენობა -120) საგანმანათლებლო პროგრამები ურთიერთდაკავშირებულია სწავლის სფეროს შინაარსის, ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლისა და საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების მიხედვით და ვითარდება უმაღლესი განათლების მე-6 და მე-7 საფეხურების შესაბამისად.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 18-19 მაისს. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო თვითშეფასების ანგარიში, პროგრამის აღწერის დოკუმენტი მისი ყველა კომპონენტის დეტალურად აღწერილი სილაბუსით (ინგლისურ და ქართლ ენაზე), ასევე დოკუმენტები საუნივერსიტეტო მომსახურებების შესახებ, CV-ები და აკადემიური პერსონალის შესახებ დოკუმენტაცია და სხვ. (ქართულ და ინგლისურ ენაზე).

ვიზიტის პროცესში, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის დირექტორს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალს, აკადემიურ პერსონალს (როგორც აფილირებულს, ისე მოწვეულს), საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, სოციალურ პარტნიორებს. შეხვედრების ყველა მონაწილე მზად იყო ეთანამშრომლა და ღიად და გულახდილად მიეღო მონაწილეობა დისკუსიებში. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის

²პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მიწოდების თაობაზე პროფესიონალურად და ეფექტიანად დაკმაყოფილდა ვიზიტის განმავლობაში.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველა მონაწილეს თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები აკმაყოფილებს სხვადასხვა ქართულ, ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს, ასევე შეესაბამება ყველა რეგულაციასა და სტანდარტს. ამას ვასკვნით დაწესებულების მონახულების, დოკუმენტების შესწავლის და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ფაკულტეტთან და დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების საფუძველზე. გამონაკლისია სტანდარტი „საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან“, რამეთუ იგი მეტწილად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

რეკომენდაციები

ექსპერტთა ჯგუფი, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, გასცემს ჩამოთვლილ რეკომენდაციებს, რომლებიც მოცემულია სხვადასხვა სათაურების ქვეშ:

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემს პოტენციურ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიიღონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რადგან სტუდენტების რაოდენობა დაბალია;
- რეკომენდებულია გადაიხედოს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის დათმობილი დრო, საბოლოო შეფასებისთვის მათი შეფასების წონა და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, ასევე - ყურადღება გამახვილდეს „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის“ კონცეფციის განხორციელებაზე;

რეკომენდაციები სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამისთვის:

რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს ინგლისური ენის ცოდნის უზრუნველყოფას და საბაკალავრო პროგრამაში სტაჟირების ხანგრძლივობის გაზრდას;

- გაიზარდოს კომპანიაში სტაჟირებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა - ამის რამდენიმე სემესტრში განხორციელება შესაძლებელია - როგორც სამოტივაციო საშუალება სტუდენტებისთვის, რათა უკეთ გაეცნონ სამომავლო პროფესიასა და კარიერულ შესაძლებლობებს.

რეკომენდაციები სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამისთვის:

- უმნიშვნელოვანესია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს უცხო ენების კურსები, განსაკუთრებით ინგლისურის, სამაგისტრო დონეზე ან/და შესთავაზოს სტუდენტებს ინგლისური ენის დამატებითი კურსები, რათა დაეხმაროს მათ აკადემიურ და კარიერულ განვითარებაში;

- ნაშრომების ხარისხის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია უნივერსიტეტმა და ნაშრომების ხელმძღვანელებმა გაზარდონ კონსულტაციების სიხშირე და ხარისხი, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

ექსპერტთა ჯგუფი გთავაზობთ რამდენიმე რჩევას პროგრამის გასაუმჯობესებლად:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, ისევე როგორც შესაძლებელია რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებს უკეთესი პირობებით მიაწოდოს ინგლისურენოვანი კურსები.
- სასურველია დამატებითი საკითხავი მასალის შეტანა: წიგნები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ ინგლისურ და ქართულ ენებზე.
- სასურველია სტუდენტთა და მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება სამეცნიერო პროდუქტის მომზადებისა და შემდგომ მისი გავრცელების გზით;
- გაუმჯობესდეს საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში, სტუდენტების მონაწილეობის ხარისხი და გაიზარდოს დონე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნაციონალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებით დაფინანსება პროგრამების მარკეტინგისა და საჯაროობისთვის, რათა მოიზიდოს მეტი სტუდენტი

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაეცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნის პროექტს და „სასტუმროს მენეჯმენტის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით შენიშვნები და კომენტარები არ აქვთ.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

³პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები: |
|---|-----------------------------|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტის შეფასება | კლასტერული |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები | კლასტერული |

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|-----------------------------|
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | |
| 4.1. ადამიანური რესურსები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2. მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

განსახილველი კლასტერული პროგრამებია სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ქართულ ენაზე. პროგრამებს აქვთ 3 სტრატეგიული მიზანი, რაც წარმოდგენილია თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 12-13), ეს მიზნები არის რეალისტური და მიღწევადი, ასევე მკაფიოდ განსაზღვრული მათი შინაარსის, დონისა და გამორჩეულობის თვალსაზრისით და სრულად ასახავს განათლების ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს სწავლის სფეროს მახასიათებლების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

საბაკალავრო პროგრამის სწავლების მიზნები აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მე-6 საფეხურის მოთხოვნებს და ფოკუსირებულია უფრო ფართო კომპეტენციების განვითარებაზე, ხოლო მაგისტრატურის მიზნები სიღრმისეულ ცოდნაზე არის ორიენტირებული და ხაზს უსვამს სამეცნიერო ასპექტებს და აკმაყოფილებს კვალიფიკაციის მე-7 საფეხურის მოთხოვნებს.

სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შეესაბამება სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და სტრატეგიული განვითარების ძირითად სფეროებს. (<https://gu.edu.ge/uploads/other/11/11696.pdf>): „...უზრუნველყოს ხელმისაწვდომი, მაღალი ხარისხის აკადემიური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) და პროფესიული განათლება...“.

საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების განვითარების მიზნით, 2016 წელს შედგა თანამშრომლობა დარგის პრაქტიკოსებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და განხორციელდა ტემპუსის საერთაშორისო პროექტი. (CHRONOGRAMME PROJET TEMPUS LMPH # 544191 TEMPUS 1-2013-1-PT JPCR „LI CENCE ET MASTERS PROFESSIONNELS EN MANAGEMENT DES ACTIVITES HOTELIERES“). მოგვიანებით, გაანალიზების პერიოდში, უნივერსიტეტმა ორივე

პროგრამაში (ძირითადად საბაკალავრო სასწავლო პროგრამაში), კანონმდებლობის ცვლილებებისა და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გათვალისწინებით, შეიტანა აუცილებელი ცვლილებები.

თვითშეფასების ანგარიში არ შეიცავს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნის ანალიზს ან მიმოხილვას, თუმცა ადმინისტრაციულ პერსონალთან და დამსაქმებლებთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ ორივე პროგრამა აუცილებელია რეგიონის განვითარებისთვის, ისევე როგორც ტურიზმის განვითარებისთვის. რეგიონი მალე ელოდება დიდ ინვესტიციებს ტურიზმის სექტორში, ამიტომ სასტუმროს სექტორის სპეციალისტების საჭიროება გაიზარდა. დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ცხადყოფს და ამართლებს საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების მნიშვნელობას დარგსა და საზოგადოებაში. პროგრამის მიზნები არის საჯარო, ხელმისაწვდომი (<https://gu.edu.ge/ge/sabakalavro-programebi/socialur-mecnierebata-biznesisa-da-samartalmcodneobis/hotel-management>; <https://gu.edu.ge/ge/samagistro-programebis/socialur-mecnierebata-biznesisa-da-samartalmcodneobis-fakulteti/sastumro-menedjmenti>) და ცნობილია პროგრამაში ჩართული ყველა პირისთვის.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -
კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -
პროგრამა 2- სასტუმროს მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა.
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -

შეფასება⁶

| კომპონენტი | შესაბამისობაშ | მეტწილად | ნაწილობრივ | არ არის |
|-----------------------|--------------------|----------|------------|---------|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ია მოთხოვნებთან | ია | ია | ი |

⁶შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

| | | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან | მოთხოვნებთან |
|---|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურამე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები მკაფიო, გასაგები და შესაბამისია საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების მიზნების მისაღწევად. ისინი მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება პროგრამის მიზნებს. სასწავლო პროგრამები თავსებადია უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული ბაკალავრისა და მაგისტრის კვალიფიკაციის საფეხურის აღმწერით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების დონესთან. ორივე სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება სასწავლო მიზნებს და ითვალისწინებს სასტუმროს მენეჯმენტის სფეროს სპეციფიკას.

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

თვითშეფასების ანგარიშში ნათქვამია: „...შემუშავების, მოდიფიკაციისა და ფორმულირების პროცესში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე - ორივე სასწავლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები...“ (თვითშეფასების გვ. 14-15). აღნიშნული ინფორმაცია დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებზე, სადაც მათ ასევე აღნიშნეს, რომ პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება დასაქმების მოთხოვნებს და სასწავლო სფეროსა და შრომის ბაზრის თავისებურებებს. თუმცა, იმავე შეხვედრებზე აღინიშნა, რომ სასწავლო პროგრამებმა მეტი ყურადღება უნდა გაამახვილოს ინგლისური ენის კომპეტენციების უზრუნველყოფას და ბაკალავრიატის სასწავლო პროგრამაში სტაჟირების ხანგრძლივობის გაზრდას.

ასევე, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამის შედეგები მათთვის ნათელია და შეძენილი კომპეტენციები ეხმარება მათ

კარიერულ წინსვლაში. მათი თქმით, სამაგისტრო პროგრამა განსხვავდება საბაკალავროსგან და მომგებიანია იმით, რომ მისი დასრულების შემდეგ შეიძლება დასაქმება უფრო მაღალი რგოლის მენეჯერულ თანამდებობებზე.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი პროგრამების კომპონენტების საშუალებით. სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები მოიცავს პირველად ან / და მეორად შრომის ბაზრის კვლევას და კონსულტაციებს ლექტორებთან, მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებასა და კურსდამთავრებულთა კვლევას. სწავლის შედეგების მიღწევა მოიცავს სავალდებულო მოდულების ფარგლებში სტუდენტების კურსების შემდგომი შედეგების ანალიზს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა
 რეკომენდაციები:
 რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს ინგლისური ენის ცოდნის უზრუნველყოფას და საბაკალავრო პროგრამაში სტაჟირების ხანგრძლივობის გაზრდას;
 რჩევები: -
პროგრამა 2- სასტუმროს მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა.
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

| | | | | |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| საბაკალავრო პროგრამა, მე-6 | | | | |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურამე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები (თვითშეფასების ანგარიში გვ. 17-18). საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი პროგრამების კომპონენტების საშუალებით. სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას და კონსულტაციებს ლექტორებთან, მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებასა და კურსდამთავრებულთა კვლევას. სწავლის შედეგების მიღწევა მოიცავს სავალდებულო მოდულების ფარგლებში სტუდენტების კურსების შემდგომი შედეგების ანალიზს.

პროგრამის დირექტორთან და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან შეხვედრების დროს მოწოდებულ იქნა ამის მტკიცებულება. ასევე დავრწმუნდით, რომ სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ დარგის მახასიათებლებისთვის დამახასიათებელი პერიოდულობით. პროგრამას აქვს გაიდლაინები თითოეული სწავლის შედეგისთვის.

საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ხორციელდება შეფასების რამდენიმე ინდიკატორის გამოყენებით; სწავლის შედეგის მიღწევის პირდაპირი მეთოდის ინდიკატორად მიზანშეწონილია ე.წ. შეწონილი შეფასების გამოყენება, რომელიც გამოითვლება „სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით“, რომელიც შეესაბამება დადგენილ წესს.

აკადემიურ პერსონალთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალის წარმომადგენლებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგები ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, დარგისათვის სახასიათო პერიოდულობით. გარდა ამისა, ორივე პროგრამის აკადემიური პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

უსდ-ის წარმომადგენლები უზრუნველყოფენ, რომ ყოველწლიური შეხვედრების დროს, დაინტერესებული მხარეები გაეცნონ სწავლის შედეგების შეფასების ანალიზს.

შეხვედრებზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამების გაუმჯობესებისთვის, ფაკულტეტზე ჩატარებული დისკუსიების შემდეგ.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ჩამოყალიბებული აქვს სწავლის შედეგების რუკა, რომელიც აღწერს, როგორ მიიღწევა თითოეული სწავლის შედეგი პროგრამების კომპონენტების საშუალებით. სწავლის შედეგების შეფასების პროცედურები მოიცავს შრომის ბაზრის კვლევას და კონსულტაციებს ლექტორებთან, მსგავსი პროგრამების შედარებით ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებასა და კურსდამთავრებულთა კვლევას. სწავლის შედეგების მიღწევა მოიცავს სავალდებულო მოდულების ფარგლებში სტუდენტების კურსების შემდგომი შედეგების ანალიზს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები.
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2- სასტუმროს მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

| | | | | |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურამე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
|--|---|--------------------------|--------------------------|--------------------------|

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

➤ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

➤ პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლის საფეხურს. პროგრამები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის შესაბამისად. (თვითშეფასების ანგარიში გვ19-21). უნივერსიტეტის რეგულაციები შემუშავებულია პროგრამის შეფასებისა და უწყვეტი განვითარების მიზნით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. უნივერსიტეტში ხარისხის შეფასება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით ხდება კურსდამთავრებულების, დამსაქმებელთა, შრომის ბაზრის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვისა და მსგავსი პროგრამების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ისევე, როგორც სწავლის შედეგების მიღწევის შიდა შეფასებით. პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამების ინდივიდუალურობას.

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

ინტერნაციონალიზაციის განზომილება ძალიან მნიშვნელოვანია საბაკალავრო და განსაკუთრებით სამაგისტრო პროგრამისთვის, მითუმეტეს სასტუმროს მენეჯმენტის სასწავლო სფეროში. ინტერნაციონალიზაციის ასპექტები მეტად მკაფიოდ უნდა ჩანდეს საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებში. საბაკალავრო პროგრამისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია პრაქტიკული კომპონენტი. შესაბამისად, არაერთ კურსში უზრუნველყოფილია პრაქტიკული და/ან სასემინარო საათები, რაც ეხმარება სტუდენტს განივითაროს დარგობრივი კომპეტენციები და უნარები, თუმცა ეს არ არის იმდენად არსებითი როგორც სტაჟირება. ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის 10 კრედიტი არ არის საკმარისი პრაქტიკული უნარების განსავითარებლად (სტაჟირება), უფრო მეტი დრო უნდა დაეთმოს სასწავლო გეგმას; შეხვედრის დროს ამას ხაზი გაუსვეს როგორც სტუდენტებმა, ასევე სოციალურმა პარტნიორებმა. ექსპერტებმა შენიშნეს, რომ კურსის აღწერილობაში დომინირებს უცხოური ლიტერატურის წყაროები, თუმცა ორივე

პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე, ამიტომ მიაჩნიათ, რომ გარკვეული ბალანსი უნდა იყოს დაცული რეკომენდებული სასწავლო ლიტერატურის წყაროებს შორის.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა (განსაკუთრებით საბაკალავრო) უფრო მიმზიდველი იქნებოდა, თუკი ექნებოდა მეტი სიმულაციური აქტივობები, სასტუმროს ადმინისტრირებისა და მართვის კომპიუტერული პროგრამის კუთხით აქტივობები და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს საკმარისი რაოდენობის კრედიტი აქვს დათმობილი უცხოური ენის სწავლებაზე ბაკალავრიატის საფეხურზე, სტუდენტები მაინც განიცდიან უცხო ენის ცოდნის ნაკლებობას ორივე სასწავლო პროგრამაზე.

საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე: სტუდენტები, აკადემიურ პერსონალი, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ექსპერტებთან შეხვედრების დროს, ყველამ აღნიშნა, რომ მათ მისდით მიწვევა, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით გამოკითხვებში მონაწილეობის თაობაზე, ასევე შეხვედრებსა და დისკუსიებზეც, თუმცა აღნიშნეს რომ ყოველთვის არ მონაწილეობენ ამ აქტივობებში.

უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, თუმცა ეს არ არის საკმარისი უფრო მეტი სტუდენტის მოსაზიდად.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი
- გასაუბრების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა მოამზადოს მკაფიო საკომუნიკაციო და მარკეტინგული სტრატეგია, რომელიც საშუალებას მისცემს პოტენციურ სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მიიღონ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, რადგან სტუდენტების რაოდენობა დაბალია;

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2- სასტუმროს მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---------------------------------|---|---|---|
| სასტუმროს მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა, მე-6 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურამე-7 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების თითოეული კურსისათვის შემუშავებულია დეტალური საგნის აღმწერი (სილაბუსი). თითოეული აღმწერი მოიცავს: კურსის მიზნებს, დაგეგმილ სწავლის შედეგებს, სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებულ სწავლების მეთოდებს, ყოველკვირეული მასალის დეტალურ აღწერას, შესაბამის ლიტერატურას, ინდივიდუალურ მუშაობას, შეფასების მეთოდებს თითოეული კომპონენტისათვის, ისევე როგორც შეფასების ქულასთან სტუდენტის აკადემიური მოსწრების დაკავშირების მკაფიო კრიტერიუმებს, ასევე რეკომენდებულ ლიტერატურას. სწავლის შედეგები ძირითადად გაზომვადი და თანმიმდევრულია და ასახავს პროგრამების სწავლის შედეგებს.

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამის თითოეული აკადემიური კურსის სწავლის შედეგები ფოკუსირებულია სტუდენტის მიერ ცოდნის შეძენაზე ან/და შესაბამისი უნარების გამომუშავებაზე, რათა მიიღოს "ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისა" და " ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრის" კვალიფიკაცია.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებამ დაადასტურა კურსის შინაარსის უწყვეტი, შეუფერხებელი და სისტემატური შეფასება და კურსის ფარგლებში შეძენილი უნარებისა და ცოდნის შეფასების შესაძლებლობა

შემოთავაზებული შეფასების კომპონენტების მეშვეობით. თითოეული კურსის ECTS კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს, ასევე საკონტაქტო საათების რაოდენობასა და გამოყენებულ სწავლების მეთოდებს.

ორივე სასწავლო პროგრამის თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის სასწავლო გეგმის შესახებ ინფორმაცია მიუთითებს, რომ შეფასება მოიცავს სწავლის ყველა შედეგს. გამოკითხვისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ შეფასების საშუალებები შესაბამისია კურსის შინაარსთან.

სილაბუსებში ჩამოთვლილი ლიტერატურა განახლებულია, იგი მეტწილად ინგლისურენოვანია, კარგადაა ორგანიზებული და წარმოდგენილი, მაგრამ შემოფარგლულია მხოლოდ წიგნებით და უმეტესწილად არ შეიცავს დამატებით საკითხავ მასალას, სამეცნიერო სტატიებს.

სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სწავლა/სწავლების სხვა წყაროები შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამის სილაბუსები ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროგრამის ვებ-გვერდებზე როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.

შესაბამისად, არაერთ კურსში უზრუნველყოფილია პრაქტიკული და/ან სასემინარო საათები, რაც სტუდენტს ეხმარება განივითაროს დარგობრივი კომპეტენციები და უნარები, თუმცა ეს არ არის იმდენად არსებითი როგორც სტაჟირება. 10 კრედიტი არ არის საკმარისი ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის საიმისოდ, რომ განივითარონ პრაქტიკული უნარები (სტაჟირება), უფრო მეტი დრო უნდა დაეთმოს სასწავლო გეგმას; ამას ხაზი გაუსვეს როგორც სტუდენტებმა, ასევე სოციალურმა პარტნიორებმა შეხვედრის დროს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები, თანდართული სილაბუსებით
- გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, ისევე როგორც შესაძლებელია რომ უნივერსიტეტმა სტუდენტებს უკეთესი პირობებით მიაწოდოს ინგლისურენოვანი კურსები.
- სასურველია დამატებითი საკითხავი მასალის შეტანა: წიგნები, სამეცნიერო სტატიები და ა.შ ინგლისურ და ქართულ ენებზე.

-

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: გაიზარდოს კომპანიაში სტაჟირებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა - ამის რამდენიმე სემესტრში განხორციელება შესაძლებელია -როგორც სამოტივაციო საშუალება სტუდენტებისთვის, რათა უკეთ გაეცნონ სამომავლო პროფესიასა და კარიერულ შესაძლებლობებს.

რჩევები: -

პროგრამა 2- სასტუმროს მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|---------------------------------|---|---|---|
| სასტუმროს მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა, მე-6 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურამე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---------------------------------|---|---|---|
| სასტუმროს მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა, მე-6 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურამე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლა-სწავლების მეთოდები და სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონის მოთხოვნებს, სტუდენტის საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი მიღების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას, სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე მიღების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; პროგრამაზე მიღების წინაპირობები ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, განათლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს და დაწესებულების რესურსებს, ასევე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შეუფერხებელ ადმინისტრირებას. პროგრამებზე სტუდენტების მიღება ხდება სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამის დაშვების მოთხოვნები უზრუნველყოფს, რომ მიღებულ სტუდენტებს ქონდეთ ამ საფეხურის გასავლელად საჭირო მონაცემები, ცოდნა და უნარები, მათ შორის ინგლისური ენის საჭირო დონე. არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მისაღები მოთხოვნები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდი
- გასაუბრების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2- სასტუმროს მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|---------------------------------|---|---|---|
| სასტუმროს მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურამე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა.

სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სასტუმროს მენეჯმენტის სამაგისტრო სასწავლო პროგრამები შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად. ის სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS სისტემის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი საბაკალავრო საფეხურის შესაბამისია.

ორივე საფეხურის პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად სტრუქტურირებულია, ხოლო წინაპირობები თანმიმდევრულია კურსის შინაარსთან. პროგრამას აქვს სათანადო რაოდენობის არჩევითი კურსები. პროგრამების პრაქტიკული კომპონენტი (საგნებში) ორგანიზებულია და დაგეგმილია პროგრამების სწავლის შედეგების შესაბამისად და შეესაბამება განათლების საფეხურს. პრაქტიკული კომპონენტისა და საშემსრულებლო პროექტის ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგში კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის აქტივობას - ეს დადასტურდა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან შეხვედრისას. საბაკალავრო პროგრამის შინაარსში, ნაკლები ყურადღება ეთმობა სტაჟირებებსა და სასტუმროს, სარესტორნო მართვის სისტემებში პროგრამული უზრუნველყოფით მუშაობას, ასევე მოგზაურობის დაგეგმვისა და ადმინისტრირების პროგრამულ უზრუნველყოფას და ავიაბილეთების დაჯავშნის სისტემებთან მუშაობას.

დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრისას, დაგვარწმუნეს, რომ ისინი ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავებაში და რომ მათ მოსაზრებებს ეკითხებიან გამოკითხვების მეშვეობით, ასევე დაგეგმილ შეხვედრებზეც.

დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები და მათი დანართები ითვალისწინებს სტუდენტთა რაოდენობას, ამოცანებს, შედეგებსა და პრაქტიკის ხანგრძლივობას, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ხელშეწყობას. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლები მზადყოფნას გამოთქვამენ მიიღონ მეტი სტუდენტი და უზრუნველყონ უფრო ხანგრძლივი სტაჟირებები.

უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს სტუდენტთა მონაწილეობას უნივერსიტეტთაშორის კონფერენციებში, რომლებიც ტარდება საქართველოს სხვა უსდ-ებთან ერთად. სასწავლო გეგმისგან დამოუკიდებელი ინიციატივები ასევე ამახვილებს ყურადღებას სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებაზე, ამას მოწმობს სხვადასხვა სალიტერატურო, კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება სტუდენტთა მონაწილეობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - სამაგისტრო ნაშრომი (30 კრედიტი) მოიცავს მაგისტრანტის დამოუკიდებელ კვლევას და ამ კვლევის შედეგების აკადემიური საზოგადოებისთვის პრეზენტაციას.

სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და სოც-პარტნიორებთან შეხვედრისას, ექსპერტები გაეცნენ ამ სასწავლო პროგრამების განხორციელების კარგ პრაქტიკებს -პროექტებს/აქტივობებს (კვლევით ასპექტებით) და ინტერნაციონალიზაციას (მობილობა). პროგრამის სტუდენტები, მასწავლებლები და სოციალური პარტნიორები ჩართულნი არიან უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პროექტებში და კმაყოფილნი არიან ამით. გარდა ამისა, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან პროექტებსა და სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ საჭიროა მეტი სამეცნიერო პროდუქტი მაგისტრანტებისთვის რომელსაც ისინი პედაგოგებთან ერთად შექმნიან; ამ სამეცნიერო აქტივობებში სტუდენტები მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრება შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

- **კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია სტუდენტთა და მასწავლებელთა ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება სამეცნიერო პროდუქტის მომზადებისა და შემდგომ მისი გავრცელების გზით;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2- სასტუმროს მენეჯმენტი, სამაგისტრო პროგრამა.

რეკომენდაციები: -
 რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი საბაკალავრო პროგრამა, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურამე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. ორივე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები მკაფიოდაა მითითებული ყოველი კომპონენტის შესაბამის სილაბუსში. მეთოდები არჩეულია სწავლის საფეხურის, კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით. მოწოდებული დოკუმენტაციით, ასევე მთავარ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებით, დასტურდება რომ კურსების ფარგლებში გამოიყენება სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი. კურსების უმრავლესობა სთავაზობს ლექციებსა და სემინარებს, წერის მეთოდს, დისკუსიას და დებატებს, შემთხვევების შესწავლას, კვლევის მეთოდს, ანალიზს და სხვ.

აკადემიურ პერსონალთან, აფილირებულ პერსონალთან და სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებით დადასტურდა, რომ ლექტორები სილაბუსების მიხედვით იყენებენ სწავლების სხვადასხვა მეთოდს და მუდმივად ცდილობენ სწავლებაში მრავალფეროვნების შეტანას.

სტუდენტებს მოსწონთ ლექტორები და ისიც, თუ როგორ მიყავთ მათ სწავლების პროცესი.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამაში დომინირებს სწავლების მეთოდები, რომლებიც ორიენტირებულია მკვლევარის კომპეტენციების განვითარებასა და ანალიტიკური უნარების განმტკიცებაზე.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და წინადადებები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. კლასტერში გაერთიანებული სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, რომლებიც ასახულია სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულებაში. შეფასების პროცედურები სამართლიანია, გამჭვირვალე და შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრებას, რაც წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის. სტუდენტის შეფასების გასაჩივრების პროცედურები გაწერილია აკადემიური პროცესის მარეგულირებელ წესში. გასაჩივრების პროცესი უზრუნველყოფს შეფასების შედეგების განხილვას და გადაწყვეტილების მიღებას სხვა შემფასებლების მიერ. ის არის გამჭვირვალე და ობიექტური.

უნივერსიტეტს აქვს სტუდენტების აკადემიური მოსწრების შეფასების და მათი შედარების სისტემა კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიერ შემუშავებული სტუდენტების სარეიტინგო სკალის მონაცემებთან. საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო პროგრამების სტუდენტების შეფასების სისტემა ითვალისწინებს სტუდენტების აქტიურ მონაწილეობას სასწავლო

პროცესში და იგი ეფუძნება მიღებული ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს. რაც შეეხება პროგრამის სასწავლო კომპონენტს, სტუდენტები ფასდებიან სემესტრის განმავლობაში მათი შესრულების, რამდენიმე შუალედური დავალების და მათი საბოლოო შეფასების ქულების მიხედვით. ნიშნების განაწილება სხვადასხვა შეფასებებზე დამოკიდებულია კურსის ხასიათზე, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მკაფიო რუბრიკა გაწერილია კურსის სილაბუსში.

სტუდენტის შეფასება ტარდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად; იგი არის სამართლიანი, გამჭვირვალე, სანდო ყველა სტუდენტისათვის, მორგებულია თითოეულ კურსზე და ახსნილია შესაბამისი კურსის სილაბუსში.

სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ შეფასების კრიტერიუმები მათთვის გამჭვირვალე და გასაგებია. ამ კრიტერიუმებს სტუდენტებს აცნობენ და უხსნიან თითოეული კურსის პირველივე სასწავლო კვირაში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ ქულები, გამოთქვან საკუთარი აზრი კონკრეტულ საგანთან, სილაბუსთან დაკავშირებით ან დააფიქსირონ ნებისმიერი სხვა იდეა. პედაგოგიური პერსონალი ყოველი დავალების შემდეგ აწვდის სტუდენტებს გამოხმაურებას. სტუდენტები იღებენ გამოხმაურებას სწავლის შედეგებზე, ისევე როგორც საკუთარი ძლიერი მხარეების გაუმჯობესებასა და გასაუმჯობესებელ სფეროებზე. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომი და ასევე წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვისაც.

სტუდენტები და კურსდამთავრებულები ექსპერტებთან შეხვედრისას დადებითად გამოეხმაურნენ მასწავლებლებთან თანამშრომლობას, მათ მოქნილობასა და კეთილგანწყობას. დავალებების ან მათი შეფასების არაეფექტურობის შემთხვევაში, მათ ყოველთვის შეეძლოთ პედაგოგებისათვის მიმართვა განმარტებისა და დახმარებისათვის.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, შეფასების სისტემასთან დაკავშირებით არის გარკვეული საკითხები, რომლებიც, როგორც ჩანს, უნივერსიტეტში ჩვეულ პრაქტიკას წარმოადგენს - პროგრამებს შეფასების თითქმის იდენტური სტრუქტურა აქვთ - ყოველკვირეული შეფასებები (ქვიზი) - 20 ქულა; პირველი შუალედური გამოცდა (მე-6-7 კვირაზე მოწყობილი) - 25 ქულა; მეორე შუალედური გამოცდა (მოწყობილი მე-12 კვირას სასწავლო პროცესთან ერთად) - 20 ქულა; საკურსო პროექტი - 10 ქულა; დასკვნითი გამოცდა - 25 ქულა. როგორც ჩანს, პირველი შუალედური გამოცდა, რომელიც აფასებს სასწავლო პროცესის პირველ 5 კვირას, გრძელდება ორ კვირის განმავლობაში და ფასდება ისევე (25 ქულით), როგორც საბოლოო გამოცდა, რომელიც აფასებს მთელ სემესტრს. უფრო მეტიც, მეორე შუალედური გამოცდა, რომელიც აფასებს სასწავლო პროცესის მომდევნო 4 კვირას, ფასდება თითქმის როგორც პირველი შუალედური გამოცდა (20 ქულით), თუმცა ამ გამოცდისათვის მოსამზადებლად ცალკე კვირა არ არის გამოყოფილი, იგი სასწავლო პროცესთან პარალელურად არის მოწყობილი. ინტერვიუს დროს ამ კითხვაზე პასუხი იყო, რომ არ არსებობს რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავს შეფასების კონკრეტული სახეებისათვის დანიშნულ დროს, ხოლო პირველ შუალედურ გამოცდას ორკვირიანი პერიოდი ენიჭება სხვა სამუშაოს გამო, რომელიც სტუდენტებმა უნდა გააკეთონ ამ პერიოდში.

როგორც თითქმის ყველა სილაბუსიდან ჩანს, შუალედური და საბოლოო შეფასებებისათვის სულ გამოყოფილია 7 საკონტაქტო საათი. გასაუბრების დროს ამ კითხვაზე პასუხი იყო ის, რომ უნივერსიტეტი ლექტორებს უფლებას აძლევს თავად განსაზღვრონ შეფასების ხანგრძლივობა, თუმცა ჩვეულებისამებრ, წერილობით გამოცდას 3 საათი ეთმობა, ხოლო ზეპირ გამოცდას - 1 საათი.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები.

- **კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** რეკომენდებულია გადაიხედოს შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის დათმობილი დრო, საბოლოო შეფასებისთვის მათი შეფასების წონა და მნიშვნელობა სასწავლო პროცესში, ასევე - ყურადღება გამახვილდეს „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლის“ კონცეფციის განხორციელებაზე;

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 2.4. - სტუდენტის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა მე-7 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისათვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას; ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს მათ ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტთა და დოქტორანტთათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის სათანადო ხარისხი.

3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული პირებისაგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში პროგრამაში ან/და უსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისაგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სტუდენტებისთვის ინფორმაციისა და კონსულტაციის მიწოდების ისეთი საშუალებები, როგორცაა:

- 1) საინფორმაციო გზამკვლევი, რომელიც შემუშავებულია სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ სასწავლო წლის დასაწყისში და რომელიც აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას უნივერსიტეტის შიდა პროცედურებზე, სხვადასხვა რეგულაციებზე, მათ შორის სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებზე.
- 2) საინფორმაციო შეხვედრები უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხულ სტუდენტებთან, რომლის ფარგლებშიც ფაკულტეტის ადმინისტრაციისა და უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები აწვდიან ინფორმაციას უნივერსიტეტის რეგლამენტის, სასწავლო გარემოს, სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ და ა.შ.
- 3) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამებზე და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ საბაზისო დოკუმენტებზე, სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებზე (მაგალითად, დაგეგმილი კონფერენციები, შიდა უნივერსიტეტის და სხვადასხვა ფონდის მიერ დაწესებული/გამოცხადებული სტიპენდიები, გაცვლითი პროგრამები, საზაფხულო/ზამთრის სკოლები, უნივერსიტეტის გარეთ გამართული ღონისძიებები და ა.შ.). სტუდენტებს ინფორმაციის მიღება ასევე შეუძლიათ ელექტრონული ფოსტით (contact@gu.edu.ge).
- 4) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური სტუდენტებს კონსულტაციებს უწევს და ინფორმაციას აწვდის საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში, აგრეთვე გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესახებ. იგი ასევე მიმართავს უცხოელი სტუდენტების საუნივერსიტეტო გარემოში ინტეგრაციას ხელშეწყობ ზომებს, ასევე აწვდის

ინფორმაციას ხელმისაწვდომი სერვისების და უცხოელი სტუდენტებისთვის საჭირო სხვა საკითხების შესახებ.

5) სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით გათვალისწინებული პერსონალური ვებ სივრცე, რომელიც იძლევა სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისთვის აუცილებელ ინფორმაციას.

6) სილაბუსებში გათვალისწინებულია ლექტორთან სტუდენტის კონსულტაციებისთვის გამოყოფილი საათები.

7) სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის სერვისი უზრუნველყოფს სტუდენტების კარიერული განვითარების მხარდაჭერას, ასევე კონსულტაციებს პროფესიულ ორიენტაციასა და დასაქმებასთან დაკავშირებით. ეს სერვისი ქმნის დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზას, სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ, თანამშრომლობს პოტენციურ დამსაქმებლებთან, ხელს უწყობს დამსაქმებლების ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, აწყობს დასაქმების ფორუმებს, აგროვებს ინფორმაციას სტუდენტების პროფესიული და კარიერული ზრდის შესახებ და ყოველწლიურად ამზადებს უნივერსიტეტის ჟურნალს. დამსაქმებლებისთვის განკუთვნილია ჟურნალის სპეციალური ნომერი, სადაც განთავსებულია ინფორმაცია კურსდამთავრებულების შესახებ და ა.შ.

სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ როგორც საუნივერსიტეტო და შიდა-საუნივერსიტეტო კონფერენციებში, ისე სხვადასხვა შემეცნებით, ლიტერატურულ, კულტურულ, ინტელექტუალურ, სპორტულ და საქველმოქმედო ღონისძიებებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური ინიციატივების/პროექტების მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც განისაზღვრება „სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების პროცედურებით“. აღნიშნული მექანიზმით ხორციელდება უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ განათლების, მეცნიერების, კულტურისა თუ სპორტის სფეროში წარმოდგენილი ინიციატივების/პროექტების დაფინანსება.

უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გააუმჯობესოს სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ინტერნაციონალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლასტერული პროგრამებისთვის.

ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ სტუდენტებისთვის განსაკუთრებული პრობლემა და გამოწვევაა უცხო ენის, პირველ რიგში, ინგლისურის სწავლება და სწავლა. როგორც გაირკვა, სტუდენტების ინიციატივა იყო ინგლისური ენის კურსების სამაგისტრო დონეზე შეტანა. თუ ეს ცვლილება არ განხორციელდება პროგრამაში, აუცილებელია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესთავაზოს სტუდენტებს ინგლისური ენის დამატებითი კურსები, რათა დაეხმაროს სტუდენტებს აკადემიურ და კარიერულ განვითარებაში.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები: უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გაუმჯობესდეს საერთაშორისო პროექტებში/პროგრამებში, სტუდენტების მონაწილეობის ხარისხი და გაიზარდოს დონე, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნაციონალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამებისთვის;

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.

რეკომენდაციები: - უმნიშვნელოვანესია, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უზრუნველყოს უცხო ენების კურსები, განსაკუთრებით ინგლისურის, სამაგისტრო დონეზე ან/და შესთავაზოს სტუდენტებს ინგლისური ენის დამატებითი კურსები, რათა დაეხმაროს მათ აკადემიურ და კარიერულ განვითარებაში.

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა მე-7 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. მაგისტრატურის სტუდენტთა ხელმძღვანელობის წესი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების მეთოდით, რომელიც შეესაბამება მოქმედ რეგლამენტს. მაგისტრატურის სტუდენტური ხელმძღვანელობის წესი განისაზღვრება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების მეთოდით, რომელიც შეესაბამება მოქმედ რეგლამენტს.

მაგისტრატურის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის დოქტორი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებული სამეცნიერო გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები სამეცნიერო სფეროში. მაგისტრანტს, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება ჰყავდეს ერთი ან მეტი ხელმძღვანელი, რომლებსაც აქვთ კვლევის თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

მაგისტრანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას აკონტროლებს ხელმძღვანელი. მაგისტრანტის ხელმძღვანელი ეხმარება მას სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევაში, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში, ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებასა და მოძიებაში, ასევე კვლევის გეგმის შედგენაში. სტუდენტების კონსულტაციისა და მათთან ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში ხელმძღვანელი ვალდებულია ეტაპობრივად შეამოწმოს სტუდენტის სამუშაო პროცესი და მისცეს მას რჩევები და რეკომენდაციები. იგი ასევე ვალდებულია წარმოადგინოს მაგისტრანტის ხელმძღვანელობის პროცესის ამსახველი დოკუმენტები, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ ფაკულტეტის ადმინისტრაციას წარუდგინოს დასკვნა აღნიშნული ნაშრომის შესახებ.

სამაგისტრო ნაშრომების შესწავლისას გამოვლინდა აკადემიური წერის ნორმების დარღვევის რამდენიმე მაგალითი. აუცილებელია ხელმძღვანელებმა უფრო ინტენსიურად იმუშაონ მაგისტრანტებთან, მეტი რჩევები და რეკომენდაციები გასცენ ამ მიმართულებით.

| მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები | |
|---|------|
| პროგრამა 1 (სახელწოდება, დონე)⁷ | |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 11 |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | |
| მაგისტრანტთა რაოდენობა | 8 |
| //დოქტორანტთა რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | 1,38 |
| თანაფარდობა - სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრები შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -
პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.
 რეკომენდაციები: -ნაშრომების ხარისხის გასაუმჯობესებლად რეკომენდებულია უნივერსიტეტმა და ნაშრომების ხელმძღვანელებმა გაზარდონ კონსულტაციების სიხშირე და ხარისხი, აკადემიური წერის სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით

⁷ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---------------------------------|---|---|---|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა მე-7 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---------------------------------|---|---|---|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა მე-7 | <input type="checkbox"/> | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსები

- პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური პირებისგან, რომლებსაც გააჩნიათ აუცილებელი კომპეტენციები, რათა დაეხმარონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში.
- პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად მიმდინარეობას და ასევე, მათი კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის და სხვა დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას. რაოდენობრივი ინდიკატორები, რომლებიც დაკავშირებულია აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე შესაბამისი კომპეტენციებს პროგრამის სასწავლო სფეროში. ასევე, უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კვალიფიკაციით აკმაყოფილებს საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო მოთხოვნებს. პერსონალის (აკადემიური და მოწვეული) კვალიფიკაცია დასტურდება მათი პროფესიული და აკადემიური გამოცდილებით და მათი უწყვეტი და უახლესი სამეცნიერო საქმიანობით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, ადგილზე ვიზიტისა და გასაუბრებიდან ირკვევა პროგრამის პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია და შეუძლია სტუდენტების დახმარება სწავლის შედეგების მიღწევაში.

სასწავლო პროცესისთვის აკადემიური პერსონალის რაოდენობა საკმარისია, დატვირთვა კი ეფექტური. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სრული დატვირთვა, აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვისა და კლასტერში პროგრამების დატვირთვის ჩათვლით, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას და საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ, მათ შორის აფილირებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებამ აჩვენა, პროგრამის ხელმძღვანელობა შედგება გამოცდილი, სფეროსთან დაკავშირებული ცოდნითა და უნარებით შეიარაღებული პერსონალისგან, რომელიც წარმართავს და უზრუნველყოფს პროგრამის ეფექტიან განხორციელებას. სტუდენტებთან და ადმინისტრაციასთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სწავლის შედეგების ეფექტურად მისაღწევად სტუდენტები ყველა საჭირო მხარდაჭერას იღებენ. აკადემიურ პერსონალს სტუდენტებისთვის განსაზღვრული აქვს საკონსულტაციო საათები. საკონსულტაციო საათების გრაფიკი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია სემესტრის დასაწყისიდან.

| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური) ⁸ სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | | | | |
|--|--|---|--|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁹ | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁰ | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 30 | 30 | 24 | 24 |
| პროფესორი: | 12 | 12 | 12 | 12 |
| ასოცირებული პროფესორი | 12 | 12 | 12 | 12 |
| ასისტენტ-პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 0 | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 6 | 6 | 0 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | - |
| პროგრამა 2 (სახელწოდება, სახელწოდება, საფეხური) ¹¹ სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | | | | |
| პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი) | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა | მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ¹² | მოიცავს დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს დარგის მიმართულებით | მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი |
| აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა | 21 | 21 | 14 | 18 |
| - პროფესორი | 11 | 11 | 11 | 11 |
| - ასოცირებული პროფესორი | 6 | 6 | 3 | 6 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტი | 1 | 1 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 3 | 3 | 0 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | 0 | - |

მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები

⁸ აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

⁹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁰ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

¹² საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 4.1. ადამიანური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---------------------------------|---|---|------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. როგორც ირკვევა აკადემიურ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებიდან და სამაგისტრო ნაშრომის შეფასებიდან, სტუდენტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, ხოლო სამაგისტრო ნაშრომები შესრულებულია საგანმანათლებლო დონის მოთხოვნების შესაბამისად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგროვებს უკუკავშირს სტუდენტებისგან აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ყოველ სემესტრში; ამის საფუძველზე ფასდება მათი სწავლების შესრულება. ყოველწლიურად აკადემიური პერსონალის თითოეული წევრი წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს თავისი სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

უნივერსიტეტი აფინანსებს აკადემიურ პერსონალს, რათა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში. არსებობს რამდენიმე გაცვლითი პროგრამა თანამშრომლებისთვის, რომელსაც აკადემიური პერსონალი აქტიურად იყენებს.

| პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)¹³ სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. | | | |
|--|----------------------------|--|---|
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | დისერტაციის ხელმძღვანელები | მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ¹⁴ | მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი |
| სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა | 11 | 11 | 11 |
| - პროფესორი: | 11 | 11 | 11 |
| - ასოცირებული პროფესორი | 0 | 0 | 0 |
| - ასისტენტ-პროფესორი | 0 | 0 | 0 |
| მოწვეული პერსონალი | 0 | 0 | - |
| სამეცნიერო პერსონალი | 0 | 0 | - |

მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასუბრების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -
კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -
პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|---------------------------------|---|---|---|
|--|---------------------------------|---|---|---|

¹³აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

¹⁴ დისერტაციის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

| | | | | |
|--|----------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| ხელმძღვანელების კვალიფიკაცია | | | | |
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ რეგულარულად ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. შეფასების სისტემა შედგება რამდენიმე ინსტრუმენტისგან (თვითშეფასება, სტუდენტის შეფასება, სწავლების პროცესის მახასიათებლების შესახებ ინფორმაციის ანალიზი), რომლებიც ადრეულ ეტაპზე იძლევა აკადემიური პერსონალის მუშაობის მთლიან სურათს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შედარებითი ხარისხის დონეს.

უნივერსიტეტი სტიმულს ჰმატებს აკადემიური პერსონალის თვითგანვითარების პროცესს იმგვარი წახალისებით, როგორცაა მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში, კონფერენციებში, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, ტრენინგებში, ხელფასების გაზრდით და ა.შ. უნივერსიტეტი მოტივაციას უჩენს პედაგოგებს, რომ მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო საქმიანობაში შემდეგი გზით: უნივერსიტეტი ფარავს კონფერენციებისა და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების საფასურს; იხდის ფინანსურ დანამატს მაღალი დონის სამეცნიერო პროდუქციისთვის და ა.შ.

უნივერსიტეტის თანამშრომლის მუშაობის შედეგები გამოიყენება მისი პროფესიული განვითარების გეგმის, ტრენინგის დაგეგმვის, დაწინაურების / ჩამოქვეითების, ხელფასის კორექტირების, როტაციის, მოტივაციისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებების მიღებაში. შეფასების პროცესის შემდგომი გაუმჯობესება შესაძლებელია, თუ აკადემიური პერსონალი, სამუშაოს შესრულების ყოველწლიურ ანგარიშთან ერთად წარადგენს პერსონალური განვითარების გეგმას, რომელიც მოიცავს დაგეგმილ აქტივობებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- გასაუბრების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -

კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---------------------------------|---|---|---|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა საჭირო რესურსს პროგრამის სასწავლო შედეგების მიღწევის ხელშესაწყობად. უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობები საკმაოდ თანამედროვეა და კარგად მოვლილია. მცირე და დიდი ჯგუფების სამუშაო აუდიტორიები და საკლასო ოთახები სათანადოდ არის აღჭურვილი, ხელმისაწვდომია სტუდენტთა სივრცე დამოუკიდებლად მუშაობისთვის, ხოლო ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციული სერვისების ოფისები კომფორტული და ფუნქციურია. საერთო ჯამში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კომფორტული და სასიამოვნო გარემოს შექმნას პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა.

საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალის ყველა წევრისთვის, ამგვარად, ხელმისაწვდომია ბოლოდროინდელი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები. უნივერსიტეტის კომპიუტერებიდან სტუდენტებს თავისუფლად შეუძლიათ ონლაინ ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზაზე წვდომა. კამპუსის გარედან დაშვება ხდება სტუდენტების საიდენტიფიკაციო ნომრების საშუალებით. სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვთ რამდენიმე სამეცნიერო მონაცემთა ბაზასთან, როგორებიცაა: Elsevier, EBSCO; JSTOR; Scopus; ScienceDirect.

თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ბიბლიოთეკის პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებებიდან ცხადია, რომ სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამების სტუდენტებისთვის, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი და გასაუბრების შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -
კლასტერის საერთო რჩევები: -

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -
პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---------------------------------|---|---|------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესრულებადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.
 წარმოდგენილია პროგრამების ბიუჯეტები და ორივე ბიუჯეტში მითითებულია რენტაბელობა. ბიუჯეტები შეიცავს ინფორმაციას პროგნოზირებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. პროგრამისთვის ფინანსური რესურსების ბიუჯეტიდან გამოყოფა ფინანსურად შესრულებადია და პირობითად უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას. პროგრამების ბიუჯეტები წარმოდგენილია და ორივე ბიუჯეტში მითითებულია რენტაბელობა. ბიუჯეტები შეიცავს ინფორმაციას პროგნოზირებული შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. პროგრამებისთვის ფინანსური რესურსების ბიუჯეტიდან გამოყოფა ფინანსურად შესრულებადია და პირობითად უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობას. ექსპერტთა ჯგუფი ხედავს რისკებს პროგრამების სამომავლო ფინანსური მდგრადობაში, თუკი არ გაიზრდება სტუდენტების რაოდენობა და არ იქნება გათვალისწინებული სერიოზული მარკეტინგული და საკომუნიკაციო ღონისძიებები. განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის შეთავაზებულია უახლოეს მომავალში დამატებითი თანხების დაგეგმვა.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- o თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: -
კლასტერის საერთო რჩევები:
 უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყოს დამატებით დაფინანსება პროგრამების მარკეტინგისა და საჯაროობისთვის, რათა მოიზიდოს მეტი სტუდენტი

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -
პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

| | | | | |
|--|----------|--------------------------|--------------------------|--------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
|--|----------|--------------------------|--------------------------|--------------------------|

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის განვითარებისათვის.

5.1. ხარისხის შიდა შეფასება

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას და შეფასების პროცესის განხორციელებისას პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ში არსებულ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა დეპარტამენტ(ებ)თან/პერსონალთან. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის, შემუშავებისა და გაუქმების ინსტრუქცია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის N6-49 დადგენილება), რომელიც განსაზღვრავს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიას. ამ დებულებით პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების პროცესი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოხმაურებას, სტუდენტების, დამსაქმებელთა და პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოკითხვის შედეგებს, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგებს; პროგრამის შემუშავების საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით, პროგრამა პერიოდულად უნდა იყოს შედარებული ადგილობრივი და უცხოური უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მსგავს პროგრამებთან.

2016 წელს პროგრამები შემუშავდა ტემპუსის პროექტის ფარგლებში. ამ მიმდინარე აკრედიტაციისთვის მომზადების მიზნით, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 18 ივლისის N22 განკარგულებით, შეიქმნა სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ჯგუფი. ჯგუფს დაევალა განხორციელებინა პროგრამების თვითშეფასება და მოემზადებინა სასტუმროს მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული თვითშეფასების ანგარიში, რათა შეეფასებინა პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამების თვითშეფასების ჯგუფში ჩართულნი იყვნენ პროგრამების ხელმძღვანელები, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები, ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ხელმძღვანელები, პროგრამის დამსაქმებლები, საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.

გარდა ამისა, თვითშეფასების ჯგუფის ფარგლებში შეიქმნა პროგრამის შიდა შეფასების ჯგუფი, რომელსაც დაევალა პროგრამის განხორციელების შიდა შეფასება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემით გათვალისწინებული კრიტერიუმების გამოყენებით და შეფასების შედეგები წარედგინა თვითშეფასების ჯგუფისათვის.

პროგრამის შეფასების შედეგების საფუძველზე, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები გამოვლენილი ხარვეზებისა აღმოფხვრისა და პროგრამის განვითარების მიზნით და წარუდგინეს ფაკულტეტსა და აკადემიურ საბჭოებს რეაგირებისათვის.

თვითშეფასების პროცესში პროგრამები შედარდა საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებს, დაიხვეწა სილაბუსებში ასახული სასწავლო კომპონენტები და სასწავლო რესურსები და აღმოფხვრა ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზები.

დამსაქმებლების მოთხოვნა იყო, საბაკალავრო პროგრამაში დაემატებინათ ფსიქოლოგიასთან დაკავშირებული თემები, ასევე არა მხოლოდ კომპიუტერული პროგრამების სწავლება, არამედ ამ პროგრამების სწავლება ბიზნესისა და ტურიზმის პრაქტიკულ საკითხებთან კავშირში. ყველა ეს მოთხოვნა გათვალისწინებულ იქნა და პროგრამას დაემატა კურსი „საინფორმაციო ტექნოლოგიები სასტუმრო ბიზნესში“.

სტუდენტებს უჭირდათ მათემატიკის კურსის ათვისება, რაც აჩვენა სტუდენტის აკადემიური მოსწრების ანალიზმა. ამიტომ ერთი 5 კრედიტიანი კურსის ნაცვლად საბაკალავრო პროგრამაში შეთავაზებულ იქნა კალკულუს I და კალკულუს II - ორი 5 კრედიტიანი კურსის სახით.

სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად სამაგისტრო პროგრამას დაემატა აკადემიური წერის კურსი.

გასაუბრებისას აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და პოტენციურმა დამსაქმებლებმა დაადასტურეს, რომ ისინი თანამშრომლობდნენ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შექმნისა და შეფასების შედეგების გაანალიზებისას; პროგრამის პერსონალი ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამასთან დაკავშირებული

გადაწყვეტილებების მიღებისას; მათ დაადასტურეს, რომ ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების პროცესში, რომ მათი მოსაზრებები იყო გათვალისწინებული. აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ პროგრამის შემუშავებისას მათ მუდმივად უწევდათ კონსულტაცია ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან სტანდარტების მოთხოვნებთან დაკავშირებით; ასევე მათ აწვდიდნენ ინფორმაციას შესწავლის დროს გამოვლენილი საკითხებისა და შეფასების ანალიზის შესახებ, რაც მხედველობაში იქნა მიღებული.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის, შემუშავებისა და გაუქმების ინსტრუქცია (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 ოქტომბრის N6-49 დადგენილება);
- პროგრამების შიდა და გარე შეფასება;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:
კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:
პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -
პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.
 რეკომენდაციები: -
 რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 5.1 ხარისხის შიდა შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.2. გარე ხარისხის შეფასება
 პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება
 კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. გარე შეფასების მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის მიზნით აკრედიტაციის ექსპერტების მიერ პროგრამების წინა გარე შეფასების (აკრედიტაციის) ფარგლებში წარმოდგენილი რეკომენდაციების სრულად იქნა გათვალისწინებული და შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა პროგრამების კურიკულუმებში.

უნივერსიტეტი გარე შეფასებას იყენებს საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისათვის. გარე შეფასება ჩაატარა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელმა. გარე ექსპერტის რეკომენდაციები განიხილა და გაითვალისწინა თვითშეფასების ჯგუფმა.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტები.
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგები – ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|-------------------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული,

ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი და სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა. სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა ემსახურება უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის უწყვეტ განვითარებას სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად. ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

- პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება;
- ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა;
- საჯაროობა და ხელმისაწვდომობა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის განვითარებას, დაინტერესებული შიდა და გარე მხარეების მონაწილეობით, რათა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების სათანადო ხარისხი და მათი შესაბამისობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რომლებიც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ინსტიტუციური ავტორიტეტისა და საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტობას.

გსუ-ში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებს კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ სუბიექტებთან თანამშრომლობით სისტემატურად ახორციელებს:

1. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას;
2. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შეფასებას;
3. პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
4. უნივერსიტეტის სამსახურებისა და მატერიალური რესურსების შეფასებას.

შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი, უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს რეკომენდაციებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად და შესაბამისი აქტივობების განსაზღვრებად და აზიარებს მათ შემდგომი რეაგირებისთვის. შეფასების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს და გეგმავენ სათანადო აქტივობებს. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება პრინციპს – „დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე“.

ხარისხის უზრუნველყოფის კვლევები/შეფასებები ეფუძნება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულ მოქმედ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინის სისტემის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურები;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცედურა;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის კურიკულუმების შეფასების მექანიზმი;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი;

- სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და მიზნობრივი ნიშნულები;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვლევის განვითარების პოლიტიკა, კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მექანიზმები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასების წესები;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საქმიანობის შეფასების პროცედურა;
- გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა.

დაწესებულებამ წარმოადგინა:

- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის კითხვარები, კვლევის შედეგები და მათი ანალიზი;
- პროგრამების შეფასება განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით;
- კითხვარის ფორმები (აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის, დამსაქმებელთა, სტუდენტთა გამოკითხვის, სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეფასების, პროფესორებისა და მასწავლებლების მიერ ჩატარებული სასწავლო კურსის შეფასების, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარები);
- სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასების შედეგები;
- პერსონალის შეფასების ანალიზი და აკადემიური და მოწვეული პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის შემუშავებული რეკომენდაციები;
- საგანმანათლებლო პროგრამების შედარება საქართველოსა და საზღვარგარეთის მსგავს პროგრამებთან;
- ასევე, სხვა საუნივერსიტეტო კვლევები, მათ შორის დამსაქმებლის კვლევა, კურსდამთავრებულთა კვლევა, ბიბლიოთეკის რესურსების შეფასება და ა.შ.

წარმოდგენილია ინფორმაცია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების გამოყენების, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმისა და შიდა და გარე შეფასების ანალიზის შესახებ.

გასაუბრებისას სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა, დამსაქმებლებმა, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა - დაადასტურა, რომ აღნიშნული კვლევები ნამდვილად ტარდება უნივერსიტეტში, მონაწილეობენ მათში და დაწესებულება ითვალისწინებს მათ მოსაზრებებს.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი (სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის N09-19 დადგენილება);
- სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ანგარიშები;
- სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტუმროს მენეჯმენტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარების ანგარიშები.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 - სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

პროგრამა 2 - სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა.

რეკომენდაციები: -

რჩევები: -

შეფასება

| კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|--|------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|------------------------------|---------------------------------------|---|---------------------------|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | x | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> | <input type="checkbox"/> |

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში): -

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, დონეები:

- სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6;
- სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7.

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| შინაარსი სტანდარტი | 1. საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი |
|--|--|--|---|-------------------------------------|---|
| სასტუმროს მენეჯმენტი, ბაკალავრიატი, მე-6 | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |
| სასტუმროს მენეჯმენტი, მაგისტრატურა, მე-7 | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

რემიგიუს ქინდერისი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

პაატა ჩაგანავა,

ნინო ჯოჯუა,

გიორგი არქანია,

ბ